

და შეიქმნენ მმართველობის წევრად უმაღლესად დამტკიცებულის წესდების ძალით. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს წესს და კანონს იმისთანა პირისთვის, რომელიც თავის უმართებულო სურვილს და ავად-მყოფ ოცნებას შეურყეველ სჯულად ვეიდგენს; შეიძლება ამ გვარი შეხედულება სხვაც მრავალი მოიპოვებოდეს თქვენს მეცნიერების საუნჯეში, მაგრამ მით ხელმძღვანელობა თქვენთვის უფრო საჭირო და გამოსადეგი იქნება, ვიდრე ჩვენთვის, და ამისთვის უმორჩილესად ვსთხოვთ ჩვენთვის დიდად თავი არ შეიწუხოს.

2) მეორე მუხლში კორრესპონდენტი მკიცხავს მე ქართული ენისა და გალობის მასწავლებლის დაბეჭდვას (ნამდვილი იქმნებოდა, რომ ამ სიტყვას მაგიერ გეხმარათ გახსენებდებოდნენ), რადგან ეს მასწავლებელი, მისივე სიტყვით, „ოთხის წლის განმავლობაში თქვენს (ჩემი) და საზოგადოდ ყველა მცნობის თვალში იყო სამაგალითო(?) მასწავლებელი ქართულის ენისა და გალობისა“.

კორრესპონდენტს ეტყობა, რომ ეს უნდა იყოს ძლიერ დაახლოებულ პირთაგანი ჩემთან, რომლისთვისაც ქართული ენისა და გალობის მასწავლებელი სამაგალითოდ მიცნვია და ჩემი ნამდვილი შეხედულება განმიზიარებია მისთვის. ეს ცხადი სიცრუეა. კორრესპონდენტის დასარჩლება და შუაგობა რა საჭირო არის აღნიშნულის მასწავლებლისთვის, როდესაც მან თვით უკვე უწყის ჩემგან უშუაგოდ, თუ რას ვხედავდა და ვხედავ იმაში მასწავლებელს და რას ვიწუნებდი ანუ ვაწუნებ? უკეთეს მასწავლებლის შენაჩივარს იმეორებს ადვილ-მორწმუნე კორრესპონდენტი, ცხადია, რომ მასწავლებელი ახირებით უნდა იყოს დარწმუნებული თავის ნაყოფიერ შრომაში და სხვის დაფასება ამისთვის უსარგებლო იქმნება მომავალშიც, რადგან ამას ვასწორება და ნაკლები ვინების შეცნობა არ მოჰყვება. ამისთანა სიკრპე უმეტრებაზედ უარესი და უსაზარალოესია. მაინც მე არავითარი კანონიერი საბუთი არა მაქვს, რომ ვიღაც არამკითხველ სიტყვით, რომელიც შეიძლება ქუჩაზე გამოფენილს კორიკანობას იმეორებდეს, საქვეყნო მოედანზედ გამოვასვენო ქართული ენისა და გალობის მასწავლებლის პედაგოგიური სურათი. ხოლო, უკეთეს ამას თვით აღნიშნული მასწავლებელი ისურვებს, მაშინ, დროთა-ვითარების მიხედულებით, დიდის სიამოვნებით აღვასრულებ მისს გულის წაღილს.

3) რაც შეეხება მესამე კითხვას, თუ რას უნდა ასწავლიდეს ქართული ენის მასწავლებელი, მე ამის განხილვას უსარგებლოდ და უადგილოდ ვსთვლი, რადგან თვით მასწავლებელს დაწესებული პროგრამა ხელში უჭირავს და მაშასადამე აღნიშნული კითხვა არის გამოწვეული სასწავლებლის

წესდებისა და ქართული ენის პროგრამის უცოდინრობისაგან.

ამისთანა უმეტრებას გარდა მოუსახრებელი კორრესპონდენტი ცდილობს ქართულის ენას ის სამსახური გაუწიოს, როგორც გაუწივა დათვმა თავის პატრონს ბუხის მოგვრებით. უმორჩილესად ვსთხოვ დათვების ნა მოსამსახურე და ვულ-შემატკივარს კორრესპონდენტს თვისი თავგანწირულება იმ დრომდის შეინახოს, ვიდრე მისსავე მსგავსების ხელში ჩაეზიდებოდეს ქართული ენის და მისის ისტორიის ბედ-იბაღი, რადგან მხოლოდ მაშინ გამოიღებს სანატრელს მისგან ნაყოფს ამ გვარი მისი თავგანწირულება, წარმომდგარი კორრესპონდენტის თავხედობისაგან.

(გაგზავნა)

უცხოეთი

მეზიპტის ამბები

— არაბი-ფაშამ შეასრულა თავის მუქარა, რომ ისე მოეკეტევი, თუ კი მეროპის სახელმწიფოები იარაღთ გეფრინენ მეგობრებს საქმეებში, როგორც 1871 წ. პარიზის კომუნალისტები ზოიქცნენო. ძალიან მოხერხებულად მოახერხა იმან აღმირალი სემიური. რამდენიმე ალაგას გამოფინა შერიგებას დროში და რადგან ინგლისელებმა ამ დროს შესწყვიტეს ზარბაზნების სროლა, გაიყენა ჯარი ქალაქს გარედ და ალექსანდრია-კი მისცა მსხვერპლად გაშმაგებულ მღაბალ ხალხს და განთავისუფლებულ ტუსადებს, რომელთაც ცეცხლი მოსდეს მთელს ქალაქს დი ამოყოიტეს ევროპიელები. ამის გამო აუცილებელ საჭიროებად შეიქნა ინგლისელების გამოსვლა ნაპირას.

— რეიტერის სააგენტოს სწერენ ალექსანდრიადამ 2 ივლ., 5 საათ.: ალექსანდრია სრულებით დაქცეულია. მუხრები მიყრუებულია. საფრანგეთის საელჩოსი მხოლოდ ფერფლიდა დარჩა. მორი მესამედი ჯარისა ინგლისელებს დაემორჩილენ, დანარჩენით არაბი-ფაშა წაიღა რკინის გზის პირველ სტანციასზედ ქალაქიდან. მედივი კინალამ მოჰკლეს. არაბიმ გაგზავნა ტულაბა-ბეი ჯარით, რომ შემოერთენ მედივის სასახლეს. რამდენიმე მეომარნი შეუტვიდნენ მედივის და მოახსენეს, რომ მათ ბრძანება აქვთ იმის მოკვლისა. ღიდი თხოვნის შემდეგ მედივა მოისყიდა 500 მეომარი, რომელთაც გააცილეს ის მეორე სასახლემდის, სადაც დახვდნენ ინგლისის მეომარნი.

— ინგლისის გაზ. „თაიმსში“ მოყვანილია პირობანი, რომლის მიღებას შემდეგ მსმალეთს შეუძლიან გამოესარჩლოს მეგობრებს საქმეებში: ა) მანდენა არაბი-ფაშასი მეგობრედამ, ბ) მშვიდობიანობის დამყარებას და მედივის უფლებათა აღდგენის შემდეგ, რაზედაც დანიშნული იქნება ვადა, მსმალეთის ჯარები გამოვიდნენ მეგობრედამ, გ) ორი ევროპიელი

კომპისსარი უნდა გაჰყვეს მსმალეთის ჯარს, დ) მეროპის სახელმწიფო-ანი მიიღებენ თავის თავზედ ხარჯს, რომელიც წაეა მეგობრის ჯარით დატვირთვად.

— იმ შემთხვევაში, თუ მსმალეთი უარს განაცხადებს, კონჭერენციის წინადადებაზედ, რომ იარაღით ჩამოაგდოს მშვიდობიანობა მეგობრეში, მეროპის სახელმწიფო-ანი ამ საქმეს მიანდობენ საფრანგეთსა და ინგლისს. ინგლისი ამ ქამადაც მზად არის, თუ ამხანაგი არ ეყოლება, მარტოც აღასრულოს კონჭერენციის გარდაწყვეტილება—დამშვიდოს მეგობრე.

— მორი ათასამდე კაცი იმსხვერპლა ალექსანდრიაში ინგლისელების ზარბაზნის სროლამ. ამას გარდა ერთი თოფის-წამლის მალაზიის აფეთქებამ გასწყვიტა მთელი ბატალიონი ეგვიპტელების ჯარისა. არაბი-ფაშის სადგური ვერ მიუტკლევიათ. ნავით წასულა, ამბობენ, სუეზს არხისაკენ.

— ინგლისის გაზეთებში მოყვანილია მიხეზები, თუ რამ აიძულა აღმირალი სემიური, ინგლისის ესკადრონის უფროსი, რომ ქალაქ ალექსანდრიისთვის ზარბაზნების სროლა დაეწყოს. თუმცა ალექსანდრიის სამხედროს უფროსი არწმუნებდა მას, რომ ალექსანდრიის ნავთ-სადგურებზედ არავითარი მზადება არ არის ჩვენის (ეგვიპტელების) მხრითა, მაგრამ სემიურმა არ დაიჯერა. ღამით 9-10 ივლისს უბრძანა ჯარს ელექტრონული ფანრები მიემართათ ალექსანდრიის ნავთ-სადგურებისაკენ. აქ აღმირალმა ცხადად დაინახა, რომ მზადება ჰქონდათ ეგვიპტელებს. მეორე დღეს ბრძანება მოუვიდათ იქ მცხოვრებ ევროპიელებს გამოვიდნენ ალექსანდრიიდან და ინგლისის გემებიდან სროლაც დაიწყეს.

ქართული ისტორია *

ამ დროს საქართველოს შეიღობა-განანი მ-ზანტიის იმპერიაში განვითარებულან პალესტინის გამგებელი ბაკურიუსი, რომელიც წინად ჩვენს მოვიხსენეთ და მურვანოსი. მურვანოსის ცხოვრებას შეჰხებია სომხეთისა და საბერძნეთის ისტორია, რომლის ცნობა მურვანოსზე არსებანის ჩაურთავს გასულ საუკუნეში, ლათინურს ენაზე, აღმოსავლეთის წმინდა მამათ ცხოვრებაებში. დაწერილებით მურვანოსის მოღვაწეობა აუწყვრია სირიულ ენაზე თვით იმის მოწაფეს ზაქარია ქართველს და შემდეგ ქართულად უთარგმნია მღვდელს მაკარის. „არა სხვისაგან თხრობილსა, გინა სხვისაგან სმენილსა მოქენე ვარ აღწერად — ამბობს ზაქარია, — არამედ რომელსა თვით მხილველ ვიქმენ, რამეთუ სიყრმიდგან შეუღვე მე წმინდასა მას, ვითარცა შეილი ერთგული, სადაც იგი არს.“ ზაქარიას თქმით, მიეცა თუ არა მურვანოსს სასწავლოდ მცირედი ქამთა დასწავლა ყოველი-

*) „დროება“, № 141.

ვე წერილი უნდა გეგზავნო, რომ ალმოკითხევი და ჩემთვის წაგზავნი. შემდეგ გასვლისა მ-ზანტიის მურვანოსს მოკლე ხანში შეიღობა-განანი ბერძული და ყოველსაწავლულობა საეკლესიო და სასულიეროსო, მასუკან იერუსალიმში წავლია ენა და სწავლულობა რებრივი“ მურვანოსს დაუყვია მთავისი ცხოვრება საქართველოს რედ, იქ შემდგარა იგი მონაზონსა ხელ-წოდებულა პეტრედ, მიმლია მას წმინდა ადგილები პალესტინისა, სადაც გაუშენებია რამდენიმე მონასტერი სასწავლო და სასულიეროსო გარდიცვლილა ბრწყინვალე მოღვაწეობით სახელ-განთქმული წმინდა პალესტინის არქეპისკოპოსად, ზემო იმპერატორის დროს (474—491) და დაფლულა ჯდილთა დიდებულ მონასტერსა ქართველთასა იერუსალიმში, რომელი მასვე წმინდასა რეს აღწერეს (*).

ზემოდ, შთამომავლობის ხელმურვანოსის მამის მარაზ-ბაკურიუსის ჩვენ ვუჩვენეთ სპარსთაგან მხეთისა და ქართლის აზრება. შემთხვევას მიზანტიის ისტორია რომ დაწერილებით გვიამბობს, ვით ქართლის სპარსებმა. იმ დროს ზანტიელი ისტორიკოსი ამჟამინ ცეცხლი ლემოს სიტყვით სწერს: „როდესაც იმპერატორი მალენსი გარდასული იყო ზოთებთან ბრძოლაში, თავის მოკავშირე აღმოსავლეთისაგან მურვანოსსა შეასუსტა, მთი ისარგებლა სპარსეთის მეფემ მურვანოსს. შაბურს არ მიჩნდა საკმარისი სომხეთის დაჭერა. იმას სურდა თავის ბძანებლობა თვით პავკასამდე გეგეცვლებინა. შაბური დიდის მხედრობით შევიდა სომხეთში დასამონაზონად იმ სიმამრებისა და თემებისა რომელნიც უარ-ჰყოფდნენ იმის უფლებას; აქედამ ის დაუბრკოლებლად გამხედრა ივერიაზე და რომ საგრძობელი სირცხვილი მოეცა მიზანტიის ძლიერებისთვის ივერიიდან იმან გეგეცვლენა საგრომაზესი, ძმის-წული, და წული თუ ბიძაშვილი ასბაკურესი, ამბავი მოხდა 369 წელს. მალენსი საგრომაზესს მიამეგლა თორმეტი დავიანი ჯარი, რომელსაც მხედრობათაგან ბერენტიუსი. მიუხაზულად თუ არა ბერენტიუსი საგრომაზესითურთ მტკვარსა, ასბაკურესი თუ თონ მიეგება იმათ წინა-დადებით, რომ ივერია დაყოფილიყო ორ ნაწილად ასე რომ ერთი იმაგან რგებოდა საგრომაზესს, მეორე — ასბაკურესს. იმას სთქვა, მე ჩემის მხრით ამ სამეფო მთლად დაუთმობდიო საგრომაზესს, რომ შიშს არა ეგრძობდნო შეიღობისად, რომელიც მძევლად თუ მე იყოფებოდა სპარსეთში. დაეკითხა

*) შესანიშნავი ცნობები მურვანოსის შესახებ, ანუ წმ. პეტრეს, რომელიც სწავლულობდა იერუსალიმში, დაწვრილ კთხისმებას ქართლის ცხოვრებისაგან, გარდაცემის ისილე დასგულუ-საგან თარგმს წიგნში: *Chronique de Michel le grand, patriarche des Syriens Jacobites, p. 152—154.*

უარაბა 24/1/1882

შემთხვევებს თავიდან აცილებს.

* * *

ჩვენ ვაუწყებენ მუთისიდან, რომ პ. შულუკის სტამბა ჰბეჭდავს გამოცემას ვეფხის ტყაოსნისას, რომელიც შრიფტის მერვე ნომრით, რომ თითო ეგზემპლარი ამ დღეობის პომისა ავტორის სურათით, რომელიც შეკვეთილი აქვს მ. შრიფტის ფოტოგრაფიას), უნდა ელიოს არა უძვირეს 20—35 კ.

სასურველი იქნებოდა მხოლოდ, რომ ბ-ნს გამოცემის ეს გამოცემა აღმოებოდა იმ ეგზემპლარიდან, რომელიც შესწორებულია, ანუ უკედელიისში საგანგებოდ ამისათვის შედგარის რედაქციისაგან...

* * *

პეტერბურის გაზეთებში იწერებოდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარღობა მიჰქცია იმ გარემოებასა, რომ რუსეთის სამხედრო მცირე აზი-დამ ხშირად ავაზაკები გადმოდიან, რუსებზე რუსეთის ქვეშევრდომებსა, ანაკუთრებით ქურთები, და ამის გასწვრივ სამინისტროს განკარგულებით ამ სამხედროებზედ ყარაულების რიცხვი უნდა გაამრავლონ.

* * *

მ. ღონდუკოვ-პორსაკოვის მუთისში ყოფნის-თაობაზედ ვაზ. — „შრო-ბაში“ იწერებოდა:

„აქაზის მთავარ-მმართველი ღვინო-აღიუტანტი მობძანდა მუთისში წასრულს კვირას, სალამოს შვიდ საათზედ, და ჩამოხტა გუბერნატორის სადგომში. ამ სადგომის წინ შეგებებენ მის ბრწყინვალეებსა მუთისის ქალაქის თავი პურ-მარლით, ხოვანები, ამქრები თავიანთის ბაირადებით, საპატო ყარაული, ღენერლები და ჯარის უფროსები და სხვაი მრავალნი.“

„მკაპაილდგან რომ ჩამოხტა, ქალაქის თავმა მის ბრწყინვალეებს მთელი საქალაქო საზოგადოების მხრით მოახსენა სალაპი და მისის მობრძანების გამო სიხარული.“

„მისმა ბრწყინვალეებამ გამოუცხადა ქალაქის თავს: „ღიდი მოხარული ვარა, რომ ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით მე დაინიშნე ამ ქვეყანაში, სადაც მე ჩემს ყმაწვილ-კაცობაში მიცხოვრია და მიმსახურნია დიდხანს და რომელიც მე შევიყვარე, როგორც საკუთარი ჩემი სამშობლო. ამასთანავე ბრძანა, რომ მე მოვედიოთქვენის საქიროების შესატყობად.“ მერე მოუბრუნდა ღენერლებსა და მოისმინა მათი მოხსენება ჯარებზედ; შემდგომ ჩაუარა საპატო ყარაულს, მოკითხა იქ მყოფი გენერლები, და შემდგომ სახლში შებრძანდა. სალამოს მუთისი ჩირაღდნით იყო განათებული.

„მეორეს დღეს მისმა ბრწყინვალეებამ მიიღო დიდის ცხრა საათზედ მუთისის თავად-აზნაურობის მარშლები და ზოგიერთი აზნაურთაგანი. მათ შემდგომ წარსდგნენ მის ბრწყინვალეების წინ სამოქალაქო ნაწილში მოსამსახურე პირნი. — მლქის სამსახურლოს თავს-მჯდომარეს გამოელაპარაკა საქმეების რაოდენობაზედ და ამ ლაპარაკში გამოაცხადა, რომ ჩემის აზრით ყველაზე უპირველეს საქიროებად იმას ესცნობო, რომ მამულები დროზედ იქმნესო გამიჯნული, რადგანაც მაშინ მამულის მებატონესაც შეეძლება მოსვენებულად თავის მამულის დამუშავება და სამსახურლოებასაც შეუმციროდებო საქმეები. ამით წარდგენის შემდგომ მისმა ბრწყინვალეებამ მიიღო მთხოვნელები, რომელთა რიცხვი ორასზედ მეტი იქნებოდა.“

„ქალაქის თავმა წარუდგინა წერილობითი მოხსენება მუთისის საზოგადოების საქიროებაზედ. მერემეტს საათზედ მისი ბრწყინვალეება მიბრძანდა საკათედრო ეკლესიაში, ნახა გიმნაზია, ყაზარმა და საპრობილე.“

„სალამოს თავადი ღონდუკოვი თავად-აზნაურთა ჰყავდა მიპატავებული სადილზედ, რომელიც იყო დანიშნული მერვე საათზე, კლუბში. 150 კაცი იყო სტუმარი და მასწინძელი. სადილზედ მისმა ბრწყინვალეებამ აღევრძელა ჯერ ხელმწიფე იმპერატორი და შემდგომ ნამესტნიკად ნამყოფი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე. შრას ძახილით და დიდის სიხარულით დაილია ორივე სადღეგრძელოები. ამის შემდეგ დალიეს თვით მისი ბრწყინვალეების სადღეგრძელო და მისი სახლობისა. მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ბაბრიელ ეპისკოპოსმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლის შინაარსი დაახლოებით იყო შემდეგი: ჩვენი ქვეყანა მორწყულია ჩვენის შვილების სისხლით გარეშე მტერთან ბრძოლის დროს. დღეს თქვენ შეგხვდით მშვიდობიანობის დრო და იმედი გვაქვსო, რომ თქვენი ბრწყინვალეება მოიხმარს ამ მშვიდობიანობის დროს ჩვენის ხალხის შინაურ წყობილების გასაუმჯობესებლად.“

„მისმა ბრწყინვალეებამ ამის პასუხად წარმოსთქვა სიტყვა, რომელითაც გამოაცხადა თავისი გულითადი სურვილი, რომ მოიხმაროს მთელი თავისი დანარჩენი სიცოცხლე ამ ჩვენის ქვეყნის ბედნიერებისათვის და აწმყოს ჩვენის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. — დიდის აღტაცებით იყო მიღებული საზოგადოებისაგან ეს მხურვალე სიტყვები და უმღერეს მის ბრწყინვალეებსა „მრავალ-ჟამიერ“.“

„ძალიან მხიარული იყო ამ სადილზედ ძვირფასი სტუმარი და მასთანავე მთელი საზოგადოება.“

„ღამის თერთმეტ საათზედ, როდესაც დააპირა ბინაზედ წაბრძანება და გამოემშვიდობა თავად-აზნაურობას, მასწინძლებმა აიყვანეს მისი ბრწყინვალეება ხელით და ისე ხელით ჩაბრძანეს კიბეზედ და ეკიპაში ჩასვე“.

„სამშაბათს დილით მისი ბრწყინვალეება გაემგზავრა მზურგეთისკენ, და მის უკან დაბრუნებას ელიან ხუთ-

შაბათს დილით, პარასკევს დილით წარუდგნენ მის ბრწყინვალეებსა მუთისის თავად-აზნაურობას და აგრეთვე მუთისის საქალაქო საზოგადოების წარმომადგენელ პირთ, რომელთაც უნდა მოახსენონ მის სხვა-და-სხვა სათხოვარი საზოგადო საქიროებაზედ. იმავე პარასკევს სალამოსთვის მის ბრწყინვალეებსა უმასწინძლებდა მუთისის საქალაქო საზოგადოება“.

გასწავლება. „ღროების“ მე-139 № „რედაქტორთან წერილში“ შეცდომით დაბეჭდილია 2 გვერ. 1 სვეტის მე-17 სტრიქონში ქვემოდაში... ვი დედაბრული; უნდა იყოს:... ვი აზა დედაბრული. მვე-მოდამ მეორე და პირველ სტრიქონში; დასისათვის დასმარების; უნდა იყოს და აზა დასისათვის დასმარების...“

პასუხი ბ-ნს აბს-ბახოსს

ბოგოვარცა ჭქუსს,
ისრე აზა სწვიმს.
ანაზა.

„ღროების“ № 123-ში მე ვარ დახატული მქვერ-მეტყველი სიცერონის კალმით, როგორც ნათესავეების შემკრები რწმუნებულს ჩემდა თელავის სასულიერო სასწავლებელში, დამბეზღებელი სამაგალითოდ მოსამსახურე მასწავლებლისა, მდევნელი ქართულის ენისა, ისტორიისა, გალობისა, მტარვალურად მომქცევი მოსწავლეებთან და დამცარავი სამხანაგო დეპოს საქმისა.“

შინც იცის თვითეულ ამ საქმეთა გარემოება, კორესპონდენტის პიროვნული კავშირი ჩემთან, მიზანი მისის ლტოლვისა და ამ გვარის მოქმედებისა, იმას ჩემგან პასუხის მიცემა ეჩვენება უბრალო და უსარგებლო დროს დაკარგვად; მაგრამ რადგან მომეტებულმა ნაწილმა „ღროების“ მკითხველებისამ ჯერ ეს გარემოებანი არ იციან, ამისთვის საქიროა ძახთ-ძახოსის გრგვინვა-ქუხილს ყური ვათხოვოთ. მუცა, როგორც კორესპონდენტის კითხვებიდან სჩანს, თვით მას ეჭვი აქვს წარმოდგენილ მისგან ფაქტებში, მაგრამ მაინც დასარწმუნებლად ნამდვილს საბუთებს ითხოვს პირის-პირ ჩემგან მიიღეთ.

1) შინც არ იცის ზედმიწევნით საქმის გარემოება, იმას პირველი კითხვა კორესპონდენტისა ორ ნაირ აზრს აღუძრავს თავში: ჯერ იმას, ვითომც ჩემი ქვეშევრდომი მასწავლებელი იყენენ ჩემს ხელში მიდგომით გამწესებულნი და შემდეგ იმის, ვითომც სასწავლებლის მმართველობის წევრნი ჩემის მოხერხებით იყენენ აღმორჩეულნი. სიცრუევს პირველი ფიქრისას მკითხველი იხილავს იქიდან, რომ შტატით დაწესებულ მასწავლებელთაგან ყველანი პირველ ჩემს გამწესების დროსვე დამხდნენ ადგილობრივ და აქამომდე მსახურებენ, გარდა ორი-სა, რომელთაგან ერთი არის რუსი, ხოლო მეორე ქართველი; დანაშთენი სამი მასწავლებელი ჩემს ხელში არიან აღმორჩეულნი; ამათგან ორი

მოსამზადებელი კლასისა და ერთი წაქიანავები, სახელდობრ მასწავლებელი ქართულის ენისა და გალობისა. ამ სამს მასწავლებელს კანონი უფლებას არ აძლევს, რომ იყენენ აღმორჩეულნი სასწავლებლის მმართველობის წევრად.

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, ვითომც ჩემის მეცადინეობით იყოს შემდგარი სასწავლებლის სამმართველო, ამით კორესპონდენტი გვაჩვენებს, რომ მას იწიცი არ გავგება სასწავლებლის წესდებისა და მე რა მონაწილეობას ვიღებ მმართველობის წევრთა აღმორჩევაში. აი სასწავლებლის წესდების შინაარსი ამის შესახებ: ზედამხედველის ანუ სხვის ვისსამე სურვილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ შემთხვევაში. მღვდელთაგან ორ წევრს ირჩევს თვით ყრილობა სამღვდელთა და ამაში მე, როგორც ზედამხედველს, არაფერი მეკითხება. მრთს წევრს მასწავლებელთაგან ირჩევს თვით სასწავლებლის მმართველობა, მამასადამე მეც, როგორც წევრს, ერთი ხმა მაქვს მონიჭებული წესდებისგან იმ განსხვავებით, რომ, თუ ვინცოდა ვისმე თანასწორი კენჭები ამოუვიდათ, ის ირჩევა წევრად, რომლის მხარესაც ზედამხედველი დაიჭერს. მერც ერთს მაგალითს ვერ მიჩვენებთ, რომ მე ამისთანა შემთხვევაში ნათესავს მიესდგომოდ. ბარდა ამისა მასწავლებელთაგან მმართველობის წევრად იყო ერთი-და-იგივე პირი ჩემს წინადაც და ჩემს ხელშიაც მმართველობამ მეორედ აღმოიჩინა, იგივე, როგორც უფრო გამოცდილი და კეთილ საიმედო. მმართველობა ამისთანა გონიერული და საფუძვლიანი რჩევისთვის, ჩემის ფიქრით, ღირსია უშეტესად ქებისა, ვიდრე განკიცხვისა.

ნათქვამს საქიროა დაუმატოთ ისიც, რომ სასწავლებლის მმართველობა, წესდების მიხედულობით, თვითეულს სამს წელს ხელ ახლად ირჩევა, ხოლო მე ზედამხედველად ვიყოფები 1875 წლიდან, მამასადამე კანონით ცხლანდელი წევრნი სასწავლებლის მმართველობისა უქვევლად ჩემს ხელში უნდა იყენენ აღმორჩეულნი, და მამასადამე ეს შემთხვევა გვაჩვენებს მხოლოდ წესდების კანონიერ მოთხოვნის აღსრულებას და არა დარღვევას და ამას ჩემს შესახებ არავითარი დამამცირებელი მნიშვნელობა არა აქვს.

რაც შეეხება ნათესაობას ჩემსა და ზოგიერთ მასწავლებელთა და მმართველობის წევრთა შორის, ამ გვარს შემთხვევაში სასწავლებლის წესდება სრულებით არ უშლის ნათესავეს სამსახურს ერთსა-და-იმავე სასწავლებელში გარდა ერთის შემთხვევისა, ესე იგი არ შეიძლება სასწავლებელში ზედამხედველად და მის თანაშემწედ იყენენ მამა და შვილი Опреждл. Св. Синода 27 мая и 17 июня 1871 г.) ამის გარეთად ყოველ ნაირ ნათესავეს შეუძლიანთ იმსახურონ ერთად

ბეჭ. კ. ჯეჯეძე.

ნენ იმპერატორს, რომელმაც ბრძოლის ასაცილებლად მიიღო ასაკურების წინა-დადება. ამ გეარად საერომაზეს წილად ჰხელდა სომხეთსა და ლაზიკის მოსაზღვრე მხარე, და ა.ბაკურს—სომხეთისა და სპარსეთის მოსაზღვრე ადგილები. შაბურმა ეს განკარგულება სრულდებით არ შეიწყნარა, რადგანაც მიზანტიის ჯარის შესვლა სომხეთში იმას წინააღმდეგობას წინააღმდეგად მიაჩნდა. შაბური შეუდგა ომიანობის მზადებას. მალენსმა თავის მხრითაც ჯარი გაისტუმრა სომხეთში და ივერიაში. ამ მდგომარეობამ გასწია 374 წლამდე. რა მოხდა ამ წელს, რა გვარი წინადადება მისცა შაბურმა მალენსს საერომაზესის გამო და სომხეთის დაყოფის გამო და რა შემთხვევა დაერთა ამ წინააღმდეგ ჩვენ ეს წინა-თავში მოვიხსენიებთ.

დამ. ბაქრაძე.
(გაგრძელება)

ბანსხაღებანი

სოფელ მარტყოფში მიეცემა საზაფხულო სახლები სამი ოთახით თავის კუხნით ან ორი ოთახი აგრეთვე კუხნით ეზოთი პირველს ენკენის თვემდე. შასის მორიგება შეიძლება მღვდელ პეტრე მბიტრეთან.

(3-2)

ტფილისის ქალაქის გამგეობის საგან

ტფილისის ქალაქის გამგეობის

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ვისაც ჰსურს იკისროს ქვეთვირისა და მიწის მუშაობა ახლად გასაკეთებელის ვერის ხიდისა; შეუძლიან შეიტანოს განცხადება ქალაქის გამგეობაში (უბრავეში) ამა 1882 წლის 1 აგვისტომდინ.

პროექტი და დაწვრილებითი პირობები ამ მუშაობისა მსურველს შეუძლიან ნახოს უბრავეის კანცელარიაში მუდამ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 1 საათამდინ. (3-2)

გ. ნიკოლოზის-ქე იოსელიანი იღებს თვისს ჰანსიონში ემაწვილებს პირობით მოსამზადებლად სხვა-და-სხვა სასწავლებლებში. ადრესი: მისხილოვის ქუჩა № 81. (5-3)

გამლეგ დღიურად და თვეობით იაფათ მებღირთვან ოთახებს, სასეულად

„ლივალია“

კოლონიის პროსპექტზედ.
(20-12)


ახალი ქართული

კარაბაღინი

ისეილება ტფილისში: შვედლოვის და გრიჭოვის წიგნების მაღაზიაში; მუთაისში: მუწადლოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიაში.

ფასი უდიანის ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და ისეილება



ყარაგინისუვილის

მოთხრობა;

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ შარველის ნაწილიდან ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანის სიანთან (ოკრუქის სუდის ქვემოთ) ისეილება წერა-კითხვის საზოგადოებრივად მოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
სატურა — — — 10 კ.

გამოვიდა ცალკე წიგნათ

დ რ ა მ ა

სამშობლო!

ისეილება შავრდოვის სააგენტოში.

ფასი 60 კახ.

(20-3)

გიგლიოზრაფიული ბანსხაღება.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უძრავს კლასებში სასმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისეილება გრიჭოვის წიგნის მაღაზიაში, გუკიის ხიდის უერთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდანს ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლარისა, ანუ მომეტეულსა, დაეთმობა ეგზემპლარი თათხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცემეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველონი, მეორე შეცვებული გამოცემა; ისეილება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბანი; ვინც ათს ეგზემპლარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლარის მიეცემა—ათს შაურად.

ვიღებ მოსაქროვად სახლის ფანჯრებისთვის მაღაზიებისთვის და ბაღკონებისთვის

შტორებს—ფარებს

ზედ წარწერით და მხატვრობით—ისე, როგორც პატრონი (საკაწმინკი) ისურვებს. აგრეთვე ვიღებ გასაკეთებლად ოთახებისთვის

შირებებს

მსურველთ შეუძლიანთ მომხართონ ფრანგების ქუჩაზე, ებრაელების სალოცავის მახლობლად სახლი № 22. (5-4)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უჭრეთსი, ვიდრე სხვაგან. იქვე იპიღება: ზარესინა 40 კახ. დაწებული; სტაქნები, ბაკლები 10 კახ—დამ; პაღოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100-96)

ქართული სტუდენტი

ამას გამკეთილებს.

ადრესი — შვედლოვის აგენტოში.

მერვე კლასის გიმნაზიაელი

აძლევეს გაკვეთილებს

ადრესი „დროების“ რედაქციაში.

ისეილება

თფილისის წიგნის მაღაზიაში ახლად გამოცემული რუსულს ენაზე წიგნი.

Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостныя и судебныя акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Материалы для исторіи древней Грузии).

сост. Д. П. Пурцеладзе.

მუთაისში ისეილება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

მოთხრობანი

წავნი მეორე.

ისეილება ტფილისში: შვედლოვისთან, ჩარკვიანთან და ბრიტუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ); მუთაისში: ჭილაძის და ნიკოლოძის მაღაზიაში.

გორში: მ. ძერცელიძესთან.

დაიბეჭდა და ისეილება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

გამგეობის

საერთო მფლობელობაზე

თხუთმეტი

ანტონ შურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბანი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისეილება თფილისის წიგნის მაღაზიაში

ი ბ ა ვ - ა რ ა კ ე ნ ი

ქილოვისაგან და სიბრძნე-სიცრულ-გან გალექილი თ. რ. ერისთვის.

დაიბეჭდა და ისეილება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში;

თამარ დედოფალი

შედგენილი

კ. ბ — შვილისგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისგან

ფასი ერთი აბანი.

ბოლგარულ-ინგლისური ბუთანი გონარდისა მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ თ. ა. პანინოვისაგან, რომელიც არის აგენტი ბ. გოგარდისა.

განტარა ზეზინოვისა არის ტფილისის ქალაქში, აწარუნის სახლში, დროცოვის ქუჩაში. (6-6)

ტაძისა

საკვებზე სორაგეულებათა, რომელნიც იყიდებან თფილისის ბაზრებში, აქწინებში და დატარებთ 1 ივლისიდან 15 ივლისამდინ.

ბამომცხვარი პური: ხორბლის თქვილის პირველის ხარისხის — 1 გირ. 5 კ. მეორის — 1 გირ. 3 1/2 მესამის — 1 გირ. —

იმავე თქვილ. თორნეში გამოცხვარი: პირველის ხარისხის — 1 გირ. 5 1/2 მეორის — 1 გირ. 4 კ.

ჭვარის-მამის პური: პირველ ხარის. ლავაში 1 გირ. 6 კ. მეორის — 1 გირ. 5 კ. მესამის — 1 გირ. 4 1/2

ძროხის ხორცი: პირველის ხარისხის — 1 გირ. 9 კ. მეორის — 1 გირ. 7 კ. სუკი — 1 გირ. 15 კ. ცხვრის ხორცი — 1 გირ. 9 კ.

ლორის ხორცი: პირველი ხარისხის — 1 გირ. — კ. მეორის — 1 გირ. — კ.